509-10/15

ხელშეკრულება

ქ. თბილისი 25 აგვისტო 2015 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო") წარმოდგენილი მისი **დირექტორის ზაზა სოფრომაძის** სახით და მეორე მხრივ, სს „ენერგო-პრო ჯორჯია" (შემდგომში - „ლიცენზიანტი"), წარმოდგენილი მისი **გენერალური დირექტორის მიხეილ ბოცვაძის** სახით (ორივე ერთად წოდებული - „მხარეებად"), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის, „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის N381 დადგენილებითა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის 3^1 პუნქტის „გ" ქვეპუნქტით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

2.1. „სააგენტო" – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, საიდენტიფიკაციო ნომერი: 202178927.

2.2. „ლიცენზიანტი" – სს „ენერგო-პრო ჯორჯია", საიდენტიფიკაციო ნომერი: 205169066.

2.3. „ხელშეკრულება" – წინამდებარე ხელშეკრულება და მასზე თანდართული ყველა დანართის, ფორმისა თუ სხვა დოკუმენტ(ებ)ის ერთობლიობა.

2.4. „მხარე" – „ხელშეკრულების" ერთ-ერთი მონაწილე („სააგენტო" ან „ლიცენზიანტი").

2.5. „მხარეები" – „ხელშეკრულების" ორივე მონაწილე ერთობლივად („სააგენტო" და „ლიცენზიანტი").

2.6. „დადგენილება" - „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №381 დადგენილება.

2.7. „ბაზა" – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა".

2.8. „აბონენტი" - „ლიცენზიანტის" მონაცემთა ბაზაში აბონენტად რეგისტრირებული ოჯახ(ებ)ი.

2.9. „ბენეფიციარი" და/ან „ბენეფიციარები" – „ბაზაში" რეგისტრირებული აბონენტ(ებ)ი, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი სარეიტინგო ქულა საანგარიშო თვის წინა თვის 1 რიცხვის მდგომარეობით ტოლია ან არ აღემატება 70 000-ს (სამოცდაათი ათასი).

2.10. „სუბსიდია" - დარიცხული ელექტროენერგიის მიხედვით, ტარიფის ზრდის შესაბამისი პერიოდისა და ტარიფის ზრდის შედეგად გამოწვეული დამატებითი თანხა: 1კვტ/სთ-ზე 3.95064 თეთრის ოდენობით, დღგ-ის ჩათვლით.

2.11. „სუბსიდირება" – საანგარიშო თვეში „აბონენტებზე" დარიცხული ელექტროენერგიის საფასურის ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით, „სააგენტოს" მიერ „ლიზენზიანტისთვის" სუბსიდიის გადახდა „ბენეფიციართა" სასარგებლოდ.

2.12. „საანგარიშო თვე" – კალენდარული თვე, როდესაც „ლიცენზიანტი" ახორციელებს აბონეტების მიერ, წინა პერიოდში მოხმარებული ელექტროენერგიის დარიცხვას, „ბენეფიციართა" „სუბისდიის" ოდენობის განსაზღვრას და სუბსიდირებისთვის საჭირო დაფინანსების მიზნით, სააგენტოსთვის ინფორმაციის მიწოდებას.

2.13. „სამუშაო დღე" – კალენდარული დღის (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) მონაკვეთი 09.00-დან 18.00 საათამდე (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეების გარდა).

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანი წარმოადგენს, „ლიცენზიანტის" მიერ „სააგენტოსთვის" გაწეულ მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს „ბენეფიციარებისთვის" ტარიფის ზრდის შედეგად გამოწვეულ, დამატებით დარიცხული თანხის („სუბსიდიის") ანაზღაურებას, „სააგენტოდან" მიღებული დაფინანსებით.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების საფუძველზე „ლიცენზიანტის" მიერ გასაწევი მომსახურების ღირებულება შეადგენს თვეში 740 (შვიდას ორმოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას „ლიცენზიანტი“ უზრუნველყოფს უსასყიდლოდ.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 „სააგენტო“ ვალდებულია:

5.1.1 ყოველი საანგარიშო თვის წინა თვის 5 (ხუთ) რიცხვამდე, „ლიცენზიანტს“ მიაწოდოს ინფორმაცია, როგორც საანგარიშო თვის წინა თვეში ასევე წინა თვეებში „სუბსიდიის“ მიმღებ ბენეფიციართა შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების N1.1 და N1.2 დანართების შესაბამისად;

5.1.2. უზრუნველყოს „სუბსიდიის“ თანხის გადარიცხვა „ლიცენზიანტის“ საბანკო ანგარიშზე, წინამდებარე ხელშეკრულების 5.2.3. პუნქტის შესაბამისად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;

5.1.3. განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების, „დადგენილებისა“ და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტ(ებ)ის მოთხოვნები.

5.2. „ლიცენზიანტი“ ვალდებულია:

5.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების 5.1.1 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებისას, მოახდინოს „ბენეფიციართა“ იდენტიფიცირება და 5 (ხუთ) სამუშაო დღეში, „სააგენტოს“ მიაწოდოს ინფორმაცია უზუსტობების (არასწორი, დუბლირებული ან არასაყოფაცხოვრებო კატეგორიის მქონე აბონენტები) შესახებ, ამასთან უზუსტობების არსებობის შემთხვევაში, შესაბამის აბონენტებზე არ განახორციელოს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული სუბსიდირებისათვის საჭირო ღონისძიებები „სააგენტოს“ წერილობით მომართვამდე;

5.2.2. საანგარიშო თვეში „ბენეფიციარებისთვის“ მიწოდებულ ქვითარზე, გამიჯნოს აბონენტის მხრიდან გადასახდელი და „სააგენტოს“ მხრიდან სუბსიდირებას დაქვემდებარებული თანხების ოდენობები;

5.2.3. არა უგვიანეს საანგარიშო თვის 14 (თოთხმეტი) რიცხვისა წარუდგინოს „სააგენტოს“ ინფორმაცია „ბენეფიციარებზე“ დარიცხული ელექტროენერგიის ოდენობის, „სააგენტოს“ მხრიდან ასანაზღაურებელი და „ლიცენზიანტის“ მიერ დასაბრუნებელი „სუბსიდიის“ თანხების შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების N2.1 და N2.2 დანართების შესაბამისად;

5.2.4. სააგენტოს მიერ ჩარიცხული „სუბსიდიები“ მიმართოს „ბენეფიციართა“ სააბონენტო ბარათებზე დავალიანების დასაფარად, ხოლო დასაბრუნებელი „სუბსიდიის“ თანხები მიმართოს „სააგენტოს“ მოთხოვნის შესაბამისად;

5.2.5. განუხრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების მოთხოვნები.

6. ანგარიშსწორების ფორმა

6.1. ურთიერთანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, მეორე მხარის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

6.2. ურთიერთანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის წარდგენიდან („სუბსიდიის“ თანხის მოთხოვნიდან) არა უგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. მხარეები საანგარიშო თვის ბოლომდე ადგენენ ურთიერთშედარების აქტს ხელშეკრულების N3 დანართის შესაბამისად.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს უვადოდ.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა ან პირობების გადასინჯვა

9.1. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მეორე მხარისათვის ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გზით.

9.2. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, მხარეთა უფლებამოსილ წარმომადგენლებს შორის, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

10.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

10.2.1. სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);

10.2.2. გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;

10.2.3. ეპიდემიები;

10.2.4. ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო, ან საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით;

10.2.5. ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

10.3. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).

10.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

10.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასატანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

10.7. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

12.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

12.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

12.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ხელშეკრულების პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

12.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

12.6. ხელშეკრულების რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან გაუქმებას. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების

რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო ხელშეკრულებაში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული ხელშეკრულების ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

12.7. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის ინფორმაციის გაცვლა, შეტყობინების გაგზავნა და ა. შ. შესაძლებელია განხორციელდეს როგორც წერილის გაგზავნით, ისე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

12.8. ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის უქმე ან დასვენების დღეებზე დამთხვევის შემთხვევაში, შესაბამისი პირობა უნდა შესრულდეს არა უგვიანეს დადგენილი ვადის მომდევნო სამუშაო დღეს.

12.9. წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

12.10. ხელშეკრულება შედგენილია 5 (ხუთი) ფურცლად, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „ლიცენზიანტთან“, ორი ეგზემპლარი - „სააგენტოში“.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„სააგენტო“	„ლიცენზიანტი“
სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“ ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144 საიდენტიფიკაციო კოდი N202178927	სააქციო საზოგადოება „ენერგო - პრო ჯორჯია“ ქ. თბილისი, სანდრო ეულის ქუჩა N1 საიდენტიფიკაციო კოდი N205169066 საბანკო რეკვიტები: სს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE12TB1115336030100001
ზაზა სოფრომაძე დირექტორი	მიხეილ ბოცვაძე გენერალური დირექტორი

დანართი 1.1 სააგენტოს ინფორმაცია საანგარიშო თვის წინა თვეში(ჩაიწეროს თვე) სუბსიდიის მიმღები აბონენტების შესახებ:

N	აბონენტის ნომერი
1	
2	

დანართი 1.2 სააგენტოს ინფორმაცია წინა პერიოდში სუბსიდიის მიმღები აბონენტების შესახებ:

N	აბონენტის ნომერი	სუბსიდიის თვე
1		
2		

დანართი N2.1 ლიცენზიანტის ინფორმაცია საანგარიშო თვის წინა თვეში (ჩაიწეროს თვე) დასაფინანსებელი სუბსიდიების შესახებ

N	აბონენტის ნომერი	სუბსიდიის თანხა (ლარი)
1		
2		
სულ		

დანართი N2.2 ლიცენზიანტის ინფორმაცია დასაბრუნებელი სუბსიდიების (თანხის) შესახებ

N	აბონენტის ნომერი	სუბსიდირების წელი, თვე	დასაბრუნებელი სუბდიდიის თანხა (ლარი)
1			
2			
სულ			

დანართი N3. ურთიერთშედარების აქტი

N	საანგარიშო თვეში მოთხოვნილი თანხა	საანგარიშო თვეში გადარიცხული თანხა	საანგარიშო თვეში უკანდასაბრუნებელი თანხა	საანგარიშო თვეში დაბრუნებული თანხა
1				
2				
სულ				